ხელშეკრულება 09-1/77/202

ქ. თბილისი

14.09 2018 წ.

ერთი მხრივ, **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** (შემდგომში **„თანხის გამცემი“**) წარმოდგენილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის **ირინე აბულაძის** სახით და მეორე მხრივ, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის **მარინე ჯიღაურის** სახით (შემდგომში **„თანხის მიმღები“**), „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და პროგრამის „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 32 02 12) ფარგლებში, „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის №1233 ბრძანებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 8 აგვისტოს N74 ბრძანების საფუძველზე დებენ დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება დაფინანსების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – თანხის გამცემსა და თანხის მიმღებს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომლითაც უნდა დააფინანსოს თანხის გამცემმა თანხის მიმღების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „თანხის გამცემი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს დაფინანსებას.

1.5. „თანხის მიმღები“ – საჯარო სკოლა, რომელიც ახორციელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

2. ხელშეკრულების საგანი

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის პროექტის „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ დაფინანსება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1000.00 (ერთი ათასი) ლარს.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

5. ანგარიშსწორების წესი და ფორმა

5.1. „თანხის გამცემი“ იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული თანხა აუნაზღაუროს „თანხის მიმღებს” წინასწარი გადარიცხვის გზით;

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

5.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1. „თანხის მიმღები" იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში უზრუნველყოს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;

6.2. „თანხის მიმღები" ვალდებულია ფინანსური და პროგრამული ანგარიში წარუდგინოს „თანხის გამცემს" არაუგვიანეს 2018 წლის 21 დეკემბრისა.

6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება დასტურდება „თანხის გამცემსა" და „თანხის მიმღებს" შორის გაფორმებული შედარების აქტით. „თანხის გამცემის" მხრიდან შედარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიეცეს საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს და პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს უფროსს;

6.4 „თანხის მიმღები" ვალდებულია 2018 წლის 25 დეკემბრამდე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული თანხის აუთვისებელი ნაწილი დააბრუნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიან ანგარიშზე (მიმღები - ერთიანი ანგარიში, მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – TRESGE22, ანგარიშის ნომერი – GE24NB0330100200165022, თანხის დაბრუნების შემთხვევაში შემოსავლის სახაზინო კოდი – 302009921).

6.5 „თანხის მიმღები" ვალდებულია ხარჯების არამიზნობრივად გაწევის შემთხვევაში, არამიზნობრივად გახარჯული თანხა დააბრუნოს სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში 2018 წელს თანხის დაბრუნების შემთხვევაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიან ანგარიშზე (მიმღები - ერთიანი ანგარიში, მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – TRESGE22, ანგარიშის ნომერი – GE24NB0330100200165022, შემოსავლის სახაზინო კოდი – 302009921); ხოლო 2019 წელს თანხის დაბრუნების შემთხვევაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიან ანგარიშზე (მიმღები - ერთიანი ანგარიში, მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – TRESGE22, ანგარიშის ნომერი – GE24NB0330100200165022, შემოსავლის სახაზინო კოდი – 302003460).

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, „თანხის მიმღების" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.

7.3 მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან დააკისრონ მეორე მხარეს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების სრული ოდენობით.

7.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული აქტივობების განუხორციელებლობა. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს „თანხის მიმღებს" წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 7.5 და 7.6 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევისა.

7.5 „თანხის გამცემი" უფლებამოსილია ხელშეკრულების 6.2 და 6.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევისათვის დააკისროს „თანხის მიმღებს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების დანართით მიღებული თანხის 0.5%-ის ოდენობით.

7.6 ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის 15 დღით გადაცილების შემთხვევაში „თანხის გამცემს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს იმ დღისათვის არსებული პირგასამტეხლოს მთლიანი მოცულობით გადახდა.

7.7 „თანხის გამცემი" უფლებამოსილია ხელშეკრულების 6.5 პუნქტში მითითებული სამინისტროს მიერ დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში დააკისროს „თანხის მიმღებს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

7.8 სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობებიდან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული „თანხის გამცემის" და/ან „თანხის მიმღების" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარი ურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი „თანხის მიმღებს", ორი ეგზემპლარი „თანხის გამცემს").

9.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

9.5 „თანხის გამცემი" და „თანხის მიმღები" მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„თანხის გამცემი"

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N 52;
ტელ: (995 32) 2 200 220;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051224;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგ. NGE24NB0330100200165022;

„თანხის მიმღები"

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლა;
მისამართი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი; სოფელი აფენი;
ტელ: 577 316 097;
საიდენტიფიკაციო კოდი: 233137370;
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი";
ბანკის კოდი: LBRTGE22;
ანგ. NGE84LB0121120211196000;

მინისტრის მოადგილე

ირინე აბულაძე

დირექტორი

მარინე ჯიღაური

დანართი

პროექტი „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია"

ხარჯვის სახეობა	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება
მასწავლებლის შრომის ანაზღაურება	20	10	200.00
ადმინისტრაცია/დირექციის შრომის ანაზღაურება			200.00
კალათბურთის ფარი	2	250	500.00
მინი ფეხბურთის ბადე	1	100	100.00
სულ			1,000.00

„თანხის გამცემი"
საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
ირინე აბულაძე

„თანხის მიმღები"
სსიპ - ლაგოდეხის
მუნიციპალიტეტის სოფელ
აფენის N2 საჯარო სკოლა
დირექტორი
მარინე ჯიღაური